ოქმი:**ო37. 37260562**

თარიღი:**25/02/2026**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2026 წელი, 25 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

11:00-11:40 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ.კიკვაძე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არეშიძე, პ. კიღურაძე, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ტ. ბარამიძე; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, დ. ხურციძე, ე. გორდელაძე.

საკრებულოს წევრები: თ. ბადალაძე, ზ. სურგულაძე, ნ. ჭანიშვილი, თ. ქავთარია, ვლ. ხავთასი, ხ. ცერცვაძე, ნ. ურუშაძე, გ. კალანდაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. გაბისიანი, ქ.ვასაძე, მ. ცქვიტინიძე, ი. ჩიკაშუა, დ. ასათიანი, თ. ქინქლაძე, ი. დობორჯგინიძე, ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ლ.მესხი, მ. ცქვიტიშვილი, დ. თოიძე, ც. ცინცაძე, გ. კილაძე, ე. წუწუნავა, ქ. კვაჭანტირაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, ლ. ქვილორია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე. საკრებულოს 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა-40-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, შემდეგ გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 40 ხმით. საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა ხსოვნას.

დღის წესრიგი

4.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მარიკა ჩხიკვიშვილი

დავით ჭაკნელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40 - ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეებმა დ. ჭაკნელიძემ და მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადეს, რომ კომისიებმა იმსჯელეს და მხარს უჭერენ პროექტს.

6.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მარიკა ჩხიკვიშვილი

ბექა თოიძე

გელა ჩავლეშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40 - ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეებმა ბ. თოიძემ, გ. ჩავლეშვილმა და მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადეს, რომ კომისიებმა იმსჯელეს და მხარს უჭერენ პროექტის საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებას.

5.3 ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მარიკა ჩხიკვიშვილი

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40- ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეებმა გ. ჩავლეშვილმა და მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადეს, რომ კომისიებმა იმსჯელეს და მხარს უჭერენ

პროექტს.

6.4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40 -ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეებმა გ. ჩავლეშვილმა და მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადეს, რომ კომისიებმა იმსჯელეს და მხარს უჭერენ პროექტს.

5. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი